საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2640 2016 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

„აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში საქართველოს მხარის მმართველისა და ალტერნატიული მმართველის დანიშვნის და საკომუნიკაციო უწყების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 იანვრის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში საქართველოს მხარის მმართველისა და ალტერნატიული მმართველის დანიშვნის და საკომუნიკაციო უწყების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 იანვრის №13 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2015 წლის 29 ივნისის „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების“ 22-ე მუხლის შესაბამისად:

ა) დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის საქართველოს მხარის მმართველად;

ბ) დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის საქართველოს მხარის ალტერნატიულ მმართველად.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**